საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

წელიწადი 1-ლი №9

რედაქციის მისამართი პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვისა „ძმობის" სტამბაში. ქ. ქუთაისი

ხუთშაბათი 8 ივნისი

რედაქტორი:
კატო მიქელაძე

გამომცემელი
ქალთა კლუბი

გაზეთის ფასი:
1 წლით . . 6 მ.
6 თვით. 3 მ. 50 კ.
1 ნახ. თვ. 1 მ. 80 კ.
1 თვით . . 80 კ.

განცხადების ფასი:
პირველ გვ. სტრიქონი 25 კ.
უკანასკნელ გვერ. 15 კ.
სამგლოვიარო განცხადება . . 5 მ.

ხ მ ა
ქართველი ქალისა

ფასი 10 კ. | ყოველკვირეული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი | ფასი 10 კ.

ქალებო, დაიცავით არჩევანთა ხმის უფლება!

8 ივნისი ქ. ქუთაისი

მესამე არგუმენტი ჩვენი უფლების მტერთა არის შიში ქალურობის დაკარგვისა. რა არის ეს ქალურობა და როგორი ქალურობის (ЖЕНСТВЕННОСТЬ) დაკარგვა აშინებთ მათ, ბუნებრივი, თუ ხელოვნური?

მოვუხსენებთ ადამიანი, როცა იბადება ქალია ის თუ ვაჟი, თანა სდევს თვისება და ნიჭი თავის სქესის გამოჩენისა, რომელიც წლოვანებასთან ერთად, თუ ერთი და მეორე რამე სიმახინჯეს არ აღმოაჩენს, ორთავეში იღვიძებს. [illegible] კიანთი სქესური თვისებისა. [illegible] წვევა არ სჭირდება და ვერც ვერავითარი შრომა თუ თანამდებობა ვერ ჰკლავს მათში. მაგრამ ეს სრულიად არ აკმაყოფილებთ დღევანდელს ცნება აშლილს და თანაც ფიზიკურად დაცვეთილს მამაკაცების ნაწილს. მათ ეჭირვებათ მეტი შთაბეჭდილობა, მეტი მადიანობის აღძრა, რომელიც უნდა გამოიწვიოს მათში დიაცურმა სექსუალური გრძნობის ქუჩაში გამოფენამ. მთელი თანამედროვე აღზრდა და ცხოვრება დედრობითი სქესისა მიმართულია ასეთი ქალურობის სავარჯიშოთ, რადგან უამისოთ დღევანდელს მონა ქალებს მამაკაცთა სქესობრივათ მიზიდვა გაუჭირდებათ და უკანასკნელის მიუხწევლობა კი მათ უქადის მშიერ-მწყურვალ გაჭირვებულ ცხოვრებას. უფლებისათვის მებრძოლი ქალი სირცხვილით და ზიზღით უცქერის ასეთს იძულებითი გამოფენას დედაკაცის ინტიმურ თვისებისას, რომელშიაც იმალება მისი დედაკაცური თავმოყვარეობა და რომლის დანახვის ნება აქვს მხოლოდ მას, ვინც სულიერად და ხორციელად იზიარებს მის ინტიმურს ცხოვრებას. გარეგნულათ ქალურობის გამოფენა არის შედეგი უსაქმური პასიური ცხოვრებისა, ვიდრე სულიერი სინაზე სიფაქიზისა. დღევანდელი ცხოვრების მიმდინარეობა და შრომის გასაზოგადოება კი მოითხოვს აქტიურობას ინიციატივას და თვითშემოქმედობას ორთავე სქესისაგან, რომელიც წარმოშობს ახალს ცხოვრებას და ახალ სქესთა კავშირს, არა დედალ მამალურ მიმზიდველობაზე დამყარებულს არამედ სულიერი ნათესაობით და ერთობით გამოწვეულს სიყვარულზე დამყარებულსა და განმტკიცებულს. არ შეიძლება, რომ ყოველი ქალი ყოველი მამაკაცისათვის სქესი იყოს და ყოველი მამაკაცი ყოველი ქალისათვის. სწორუფლებიანობისათვის მებრძოლი ქალისათვის სქესი არის მხოლოდ ის მამაკაცი, რომელსაც ის სქესობრივათ დაუკავშირდა და თანაც ამხანაგი მისი რაადგანაც მასთან აქვს სულიერი ერთობა. დანარჩენებთან მას ასეთივე განწყობილება აქვს, როგორც გარეშე, თუ მახლობელ ადამიანებთან ქალია ისინი, თუ ვაჟი მიუხედავათ ამისა, რომლებთანაც მას თავი უჭირავს, როგორც სწორუფლიანი ადამიანი და არა ისე როგორც სქესი და მათგანაც ასეთსავე განწყობილებას მოითხოვს.

[illegible]

მოქალაქე რედაქტორო!

თქვენ დაარქვით თქვენ გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა“ მაგრამ მისწრაფებით, იდეური სივრცით და ენერგიით, რომლითაც თქვენ ეწევით ბრძოლას სწორუფლიანობისათვის განურჩევლად ეროვნებისა და მიმართულებისა ნახევარი კაცობრიობის ჩაგრულთათვის ის ღირსია უფრო მოკლე ფორმის, მაგრამ უფრო ფართო შინაარსის სახელწოდებისა:

„ხმა დედაკაცისა“.

თქვენ პირველი ხართ მთელს კავკასიაში, რომელმაც გაბედულად და მოურიდებლათ ახსენით ფარდა ყველა იმ სულიერ სილატაკეს და მონობას, რომელსაც შეაჩვია დედაკაცები ჯავშნოსანმა მუშტმა სასტიკი ბრძანებელი მამაკაცებისამ და რომლისათვის თქვენ ღირსი ხართ უღრმესი მადლობისა.

უსაზღვრო და მუდმივ მეფობამ და გამარჯვებულმა თვითნებობამ დესპოტი მამაკაცისამ წაართვა ქალებს ღვთაებრივი სახე და ჩამოიყვანა იგი პირუტყვი დედლის საფეხურამდე, რომელსაც აქვს უფლება მხოლოთ შვილოსნობისა და ცივი სამარისა.

მთელი ისტორია მიმდინარეობს მამაკაცების ბრძოლაში, თავისი პირადი უფლებისათვის, თავისი „მეს“ განთავისუფლებისათვის საუკუნოებრივ მონობისაგან, მაგრამ იგივე მამაკაცი ახრჩობდა და ახრჩობს თვით მორიდებულ ცდას ქალებისას მონურ ცხოვრებიდან გამოსასვლელად, რომ მოიპოვონ იგივე სისრულე ცხოვრებისა, რომელზედაც შეიძლება მას უფრო მეტი უფლება აქვს, ვიდრე მის სასტიკს და ღონიერს მეტოქეს.

და იმ დროს, როცა განმათავისუფლებელი ტალღა სცემს ჩვენს სამშობლოს, მიუხედავათ ხმის უფლების მოძებნისა, ყოველი ცდა და სურვილი ქალებისა უკეთესი ცხოვრებისადმი ეჯახება ან გაკვირვებას და ან ბრძანებელს ყვირილს: „ხელი შორის“! გუშინდელი მონა, მომლები მოქალაქეს უფლებისა, წინააღმდეგია გაუყოს ეს უფლება იმ არსებას, რომელიც კანკალითა და გულის ფრიალით ელოდება უკეთეს დღეებს თავის სიცოცხლისას. ამ გარდამავალ ეპოქაში თქვენ აღიმაღლეთ თქვენი პატიოსანი და მოუსყიდველი ხმა ფიზიკურად და სულიერად მივიწყებულ ქალთა უფლებისათვის.

ბასრო, დაუზოგველი დანით თქვენ ამოხსენით მიუხედავი უსინათლო მხარე, მონობაში ჩამძვრალი [illegible] ხვედრისა და სცემით საყვირს თქვენ დების მკვდრეთით აღსადგენათ!

გამსჭვალული ღრმა რწმენით თქვენი იმედების დღესასწაულობისადმი და თავისუფლების სიმღერათა გამარჯვებისადმი ამ ამონგრეულს ძველს სახელმწიფოებრივ საძირკვლებზე გთხოვთ მიწილადოთ ადგილი თქვენ გაზეთში გამოსარკვევად ზოგიერთი პირობებისა და იმ კითხვებისა, რომელიც მჭიდროთ გადაბმულია ქალთა სწორუფლებიანობაზე.

ექიმი ა. მაჭავარიანი.

p. s. ჩვენთვის დიდი კმაყოფილებაა იმას წარმოდგენა, რომ ჩვენმა ახლათ ფეხადგმულმა გაზეთმა აგრე დიდი ყურადღება მიაქცია საზოგადოებისა. როდესაც ვფიქრობდით მის გამოცემას ჩვენ გათვალისწინებული გვქონდა ყველა ის სიძნელე, რომელიც წინ დაგვიხვდებოდა ჩვენს დუხჭირ საზოგადო ცხოვრებაში. მაგრამ ყველა ამ სიძნელის დასლევას გვიადვილებდა რწმენა, რომ ყოველი პატიოსანი და კეთილშობილი გული გაიმსჭვალებოდა თანაგრძნობით დედაკაცის უბედური ხვედრისადმი, რომელშიაც ის ჩააგდო ისტორიულმა ძალმომრეობამ გაჩაღებულმა მამაკაცთა შორის. და თუ ჩვენს გაზეთს სახელად დავარქვით „ხმა ქართველი ქალისა“, მხოლოდ იმ აზრით რომ ქართველი ქალიც თანამედროვე საქართველოში თავის უკეთეს დღების ტაფაში იხრაკება და რომ ისიც უერთებს ხმას ამ დიად ისტორიულ მომენტში მთელი ქვეყნის უფლებისათვის მებრძოლ დებს. მიუხედავათ მრავალ რიცხოვან მოწინააღმდეგეთა და ჩუმი თუ ცხადი პროტესტისა ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ იმ ქვეყანაში, სადაც უძველეს დროიდან ქალთა კულტი მეფობდა რა გვარათ არ დამახინჯებულიყო ჩვენი ეროვნული ცხოვრება აქა იქ დიადი ქართველი სული კიდევ ტრიალებდა. ჩვენ არ მოსტყუვდით ამაში და ასეთი კეთილშობილ ქართველთა ხმა თანდათან გვწვდება: რ. საჯავახოელი, ექიმი ბადრიძე, ი. თომაშვილი, ჯავარ ფაშა. გ. ბრეგაძე უკვე ჩვენი გაზეთის მკითხველთა ნაცნობია. დღეს მოგვესმა ახალი ხმა თანაგრძნობისა ექიმ ა. მაჭავარიანისაგან. ეს ხმა ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია მით, რომ [illegible] ერთი იმ კეთილშობილ პიროვნებათაგანია, რომლის [illegible] საზოგადოება. ვნახოთ რა [illegible] იგი.

კატო მიქელაძე.

წერილი სამტრედიიდან.

კვირას 28 მაისს ქ. სამტრედიაში მოხდა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნები. ასარჩევი იყო ოცდა ერთი წევრი აღმ. კომიტეტისა და ექვსი მათი კანდიდატები. კრების თავჯდომარემ გ. დუნდუამ გამოაცხადა, რომ არჩევნები იქნება თავისუფალი, ფარული კენჭის ყრით, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ორივე სქესის სრულწლოვანნი. და გამოაქვეყნა რა უკვე შემუშავებული წევრთა და კანდიდატთა სია, თანაც დასძინა: ეს დასახელებული პირები უნდა იქნეს არჩეული„ო. არ შემიძლია აქვე არ შევნიშნო ამხ. თავმჯდომარეს, რომ სიტყვები: „უნდა იქნეს,“ ჩემის ფიქრით, არ ნიშნავდეს ძალდატანებლობას. მაგრამ ეს სხვათა შორის... გარდა ამისა, როდესაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას ორივე სქესს აძლევდენ, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ აღმ. კომიტეტის შემადგენლობაც ორივე სქესიდგან იქნებოდა, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც სია გამოაქვეყნდა წევრთა შორის ერთი დედაკაციც არ შეიქნა დასახელებული! ძლივს მეექვსე კანდიდატად შეერიათ ერთი ქალი და ისიც ალბათ იმ მოსაზრებით, რომ მას არასოდეს შეხვდება კომიტეტში მოხვედრა, თუნდაც მთელი საუკუნე დარჩეს ეს კომიტეტი თავის თანამდებობაზე. მიკვირს, ღმერთმანი, ასეთი დაცინვა მაინც რითი დავიმსახურეთ ქალებმა! იმ ჯგუფში, სადაც 26 მამაკაცი ამორჩეულია, ნუთუ 1 ქალი არ უნდა გაერიათ? ერთი ქალი და ისიც კანდიდატთა რიცხვში? წევრთა სიაში მაინც ყოფილიყო შეტანილი! გვე-

ყიჟინებენ ცოდნაა საჭირო, მუშაობა, პრაქტიკა„ო· უმუშევრად პრაქტიკა? არ მესმის რა პრაქტიკას შევიძენთ ქალები, თუნდა ისევ ის აღმასრულებელ-კომიტეტი, რომ ავიღოთ! მომავალშიაც უთუოთ ამ პასუხით გაგვისტუმრებენ!

ერთი ეს მიბრძანეთ ბ.ბ. მამაკაცებო (ვგულისხმობ სამტრედიისას, რადგან შეიძლება სხვაგან უფრო ყურადღებით ექცევიან დაბეჩავებულ სქესს) თქვენ სწავლულნი დაიბადეთ? თუ სად შეიძინეთ ის პრაქტიკა, რომელზედაც ჩვენ გვიყიჟინებთ, იქნება თქვენ მეორე ნაბიჯის გადადგმა უპირველად იცით? მეც გამიგონია, თეთრია უპრაქტიკოდ არ ვარგა„ო. პრაქტიკაც დაწერილია? მე ვერ ვნახე! არა ბატონებო, სურვილი არა გვაქთ, გამოტყდით, რომ წინაღმდეგნი ხართ სქესთა უფლებრივ გათანასწორებისა, თორემ რა ისეთი მოუხეში რამ შევიქენით ქალები, რამ ვერაფერი ვისწავლოთ! დალოცვილებო, პირუტყვს ასწავლიან მუშაობას, თორემ ჩვენ, ადამიანებს, რა შეიქნა ამისთანა? ერთი ჰაიერით ვსუნთქავთ, მზე არ გაქვთ საკუთარი და მთვარე! ჩვენებრ ორ ფეხზე დადიხართ, ტვინი მეცნიერების გამოკვლევით ქალს თუ მეტი არა აქვს, არა ნაკლები მამაკაცზე! მაგრამ რათ გვინდა ტვინი, თუ საშვალება არ გვექნება ავამუშაოთ, განვავითაროთ იგი,

თუ საქმეში არ გაგვირევთ! იმისმაგივრად, რომ გვერდში ამოგვიყენოთ, თქვენთან ერთად გვამუშაოთ, გვეუბნებით: თქვენ არ ვარგხართ სამუშაოთ კომიტეტშიო: (ჩვენთვის ყველა დაწესებულება კომიტეტია) [illegible]ან ასეთ ნურას უკაცრავათ მამაკაცებთან კვირის შეცვლამა კვლავ არ განვიმეოროთ მუშაობა თუ არ უნდით ჩვენი რა შეიქნა ასეთი სამუშევარი, რომ მისი სწავლაც არ შეიძლებოდეს; როცა დაგჭირდებათ ყულაბებ ჩამოკიდებული ძალიან დაგვახრიგინებთ ბაზარ ბაზარ?! ანდა ხმის მისაცემათ ყუთებზე კარგათ გავარჩევინეთ თეთრი და შავი!

რამდენი იქნებოდა ისეთი დედაკაცი, რომლებიც ვერ ისარგებლებდენ ასეთი ყუთით, მაგრამ ერთსაც არ აუშორებია კენჭი. ხან იმასაც გვეუბნებით შეიძლება ღამე წასვლა შეგიხვდეთ სადმე დარაჯობა და სხვა ამისთანა“ო. არ მესმის ღმერთმანი, რა საფრთხობელა რამ თქვენ ყოფილხართ! ჩვენ თუ ვისმეს გვეშინია, ისევე თქვენი, მამაკაცების, თორემ ტყე არ გვახლ-ავს ახლოს ისეთი, რომ მგლები და ტურები გადმოცვინდნენ ღამე და დაგვაჭამონ, ძალლები თქვენზე ნაკლებად გვერჩის ჩვენ. თუ ფიზიკურ ღონეზეა საქმე, ძალ-მომრეობა ხომ არ არის?

არა, ქალებო, სჩანს ხსნა არ არის. ჩვენი საქმე ისევ ჩვენ უნდი ავიღოთ ხელში. ბრძოლაა საჭირო. (არავის შეეშინდეს თოფ-იარაღით გამოსვლას არვის მოუწოდებთ) ჩვენ სისხლის მღრელნი არა ვართ, საჭიროა ცოდნით შეიარაღება, შეკავშირება, დავივიწყოთ პარტიული კინკლაობა. ამ შემთხვევაში ჩვენ ყველანი ერთ პარტიას ვეკუთნით. გვახსოვდეს რომ ძალა ერთობაშია. მაშინ მამაკაცები ავტომატათ ვერ გამოგვიყენებენ, პირიქით შეგვეხვეწებიან, მობრძანდით და იმუშავეთო.“

სამტრედიელი ქალი.

ხმა ლეჩხუმიდან.

დიდი სიხარულით უერთდებით გაზეთ „ხმა ქართველი ქალისა“-ში შემოკრებილ ამხანაგ ქალების აზრს. ამხანაგებო! დადგა ახალი ხანა ჩვენ ცხოვრებაში, დაიმსხვრა ძველი რეჟიმი რომელიც ყოველ სულდგმულზე უფრო მწვავეთ ჩვენ ქალებს გვაწვა კისერზე, მანამ გვჯიჯგნა სანამ მიწასთან არ გაგვასწორა და ლამის არარად გაგვხადა. დიახ, დაიმსხვრა ძველი რეჟიმი და განა ჩვენ არ გვიდევს წილი ამ ყოვლად გამოუსადეგარი შენობის დანგრევაში ძლიერ ბევრი, ბევრს მოეხადა ლაჩაქი, ბევრი გაიყინა ჩრდილოეთის სუსხისაგან.

ამხანაგებო! გავიხაროთ? არა, არა ჯერ ადრეა სიხარული, სასიხარულო ხანა ჯერ არ დაგვდგომია, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რომელიც ჩვენგან დიდ მსხვერპლს მოითხოვს, დანგრევა არ არის ისე ძნელი როგორც აშენება. ამხანაგებო! ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი, რომელიც მარად ქართველი ქალის აღდგენას ნატრობდა გვიანდერძა, ათჯერ გაზომე და ერთხელ გამოსჭერ შენი ჭირიმე''. და ჩვენც ათჯერ გავზომოთ თორემ ერთი უბრალო ცუდი ნაბიჯიც დაგვღუპავს სამუდამოთ. ახალი საქართველო შენდება, ახალ ქართველ ქალს მოგვთხოვს და არ შევრცხვეთ, არ დავრჩეთ გარიყული სხვისი იმედით ნუ ვსულდგმულობთ, ვისარგებლოთ მომენტით მივიღოთ ფაქტიური მონაწილეობა ყოველივე დარგის მუშაობაში რაც ჩვენ ფიზიკურ ძალას არ აღემატება.

შორს ჩვენგან ქალური პრანჭვაგრეხა, შორს ჩვენგან მოდები ესენი ყველა ძველ რეჟიმს უანდერძოთ.

ქართველო ქალებო ნურავის იმედი ნუ გვაქთ, თუ არა ჩვენი თავისა, თავისუფლება რომელსაც ყოველი ერი ეტრფის ჩვენ ჩვენვე უნდა მოვიპოვოთ, ჩვენი ძალ-ღონით ჩვენივე შრომით, სხვის ნაბოძვარს ისევ სხვა მიითვისებს. განა ცოტა გვაქს ამის ფაქტები? სავსეა ისტორიის ფურცლები. საფრანგეთის რევოლიუციის დროს ქალების თავგანწირულ ბრძოლას განცვიფრებაში მოყავდა მთელი ევროპა და გერმანიის ჟურნალისტებმა ისიც კი აღნიშნეს, რომ საშიში იქნებოდა საფრანგეთთან ბრძოლა რომ ყველა ჯარები ქალებიდან შედგინათო“ მერე რა მიიღეს ასეთ თავგანწირულ ბრძოლით? სრულიად არაფერი! განა ცოტა შრომა მიუძღვით ქალებს ქრისტიანული კულტის შემოღებაში? შიმშილი, წყურვილი, ტყე-[illegible]ალი დამცირება ნამუსის ახდა, [illegible]ანზე დაწვა არასფერი არ დაკლებიათ სამაგიეროთ რა მიიღო? მიიღო ის რომ ნახევარ ადამიანათ აღიარეს და უფლება მოსილ ეგოისტ მამათ სქესმა თავიანთი კანონ-მდებლობით ქალს საკურთხევლის წინ ფიცი დაადებინეს ქმარის მხევალი ვიყავი“ო.

არც თავისუფლებისათვის თავგანწირული სოციალისტები ეტრფიან დიდათ [illegible] სქესის უფლებას და ზოგს გასამართლებელ საბუთათ მოყავთ, ქალი როდესაც დამოუკიდებელ ცხოვრებას მიეჩვევა ოჯახს მიგვიტოვებს და ბავშვებს უპატრონოთ დაგვიგდებსო. ნუ თუ ეს გამოადგება ვისმეს თავ გასამართლებ ფაქტად? ვერასფერი ლოლიკაა! ჩვენ ვიცით პირველ ყოფილი ადამიანის ცხოვრება რომელიც არავითარ უფლებას არ საჭიროებდა, როცა ორივე სქესი ერთი და იგივე მდგომარეობაში იყო, გარდა სქესური განსხვავებისა და მაშინ თუ მიხვდა ქალი თავის დანიშნულებას და არ დააგდო უპატრონოთ შვილები სანამ ის შვილი არსებობისთვის ბრძოლას ვერ შესძლებდა.. ნუ თუ მეოცე საუკუნის შეგნებული და უფლება მოსილი ქალი გვერდს აუხვევს თავის დანიშნულებს და მიატოვებს ოჯახს, იმ ოჯახს რომელიც ნაწილია საზოგადოებისა, რომელიც ფუძეა ერის მომავალი ბედნიერებისა. ასეთს ქალებს მქნის კულტურული გარყვნილება, რომელსაც იწვევს ქალთა მონობა და არა ქალთა ადამიანური პიროვნების აღდგენა და მისი სწორუფლიანობა. ამას კარგათ გრძნობენ ჩვენი უფლების მტრები, მაგრამ მაინც თავისას გაიძახიან, ჩვენ ვთხოვთ ქუთაისის მოქალაქე ქალებს მეტს ენერგიას და ერთობას. განახლების ზარი რეკს და დრო უშველონ

საზარელი მტარვალობა

(რას ფიქრობენ ქალები·)

როგორც სჩანს ზოგიერთი მამაკაცები უფრთხიან პროსტიტუციის საშიშროებას, რომელიც ეგრე ძვირად ულირთ მათ. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ხვდებით ტენდენციას ზოგი ერთ[illegible]ეში, სადაც უქადაგებენ ქალებს რომ დაიჭირონ თავი უფრო ნაკლებ ზნეობრივათ, ვიდრე მათ დედმდი უჭირავთ.

„თქვენ თხოულობთ პოლიტიკურ თავისუფლებას“, ეუბნებიან ქალებს· „თქვენთვის უფრო საჭიროა სქესობრივი თავისუფლება ხმის უფლებას უნდა მოყვეს თავისუფლება გრძნობებისა და ვნებისა. საქმე იმაში კი არ არის, რომ ასწიოთ ზნეობა მამაკაცებისა, არამედ მაში, რომ დასწიოთ ზნეობა დედაკაცებისა.“ ასეთს წინადადებაზე ქალები იძლევიან მტკიცე, არა ორჭოფ პასუხს.

ჩვენ რასაკვირველია ვესწრაფით მივიღოთ ხმის უფლება და რაც შეიძლება მალე. მაგრამ ჩვენ ერთობ კარგათ ვიცით თუ როგორია მოსავალი აღვირაშვებულ ცხოვრებისა რომ დავთესოთ ის რაც მოგვამკევინებს თქვენსავე ნაყოფს.

როცა ქალები მიიღებენ ხმას, ისენი უფრო მეტს პროტესტს განაცხადებენ, რომ არ გადაიქცეს სქესი სათამაშოთ, შემთხვევითი სქესობრივი კავშირის დაჭერით.

საფრაჟისტკების აზრით სქესი ერთობ დიდი, ერთობ წმინდაა, მისთვის, რომ მას მოეპყრან აგრე ადვილად. ამას გარდა ფიზიკური და სულიერი შედეგი სქესობრივი კავშირისა იმდენათ დიდ მნიშვნელოვანია და იმდენათ ინტინმურია რომ დამოუკიდებელი ინტელიგენტი დედაკაცი ასეთს კავშირში შევლენ მხოლოდ სერიოზული მოფიქრების შემდეგ და დიდი რწმენისა და სიყვარულის განადლებით.

აქ უნდა ითქვას რამოდენიმე სიტყვა შესახებ მამაკაცთა მიერ გამოთქმულ აზრისა, რომ ქალები იტანჯებიან გაუთხოვრობით. ე. ი. როგორც მათ ნებავთ დაარქვან „დაუკმაყოფილებელი სურვილებით“, რომელიც უნდა შეადგენდეს განსაკუთრებულ პრობლემას. სრულიადაც არაფერი ამის მზგავსი, წინანდელს დროში, როცა გათხოვება ითვლებოდა ერთად ერთ მისაწდომ კარიერად ქალებისათვის, გაუთხოვარი ქალები სთვლიდენ თავის თავს და სხვებიც მათ დამარცხებულად, ისე როგორც მსაჯული უსაქმოთ, ექიმი უავათმყოფოთ და მეფურნე უვაჭროთ, ეხლანდელს დროში კი ქალები ეწევიან ცხოვრებას ალსავსეს ინტერესით. თუმცა ისენი თავიანთი ღვიძლი შვილების დედები არ არიან, მაგრამ სამაგიეროთ ისენი ემსახურებიან კეთილსა და სასარგებლო საქმეს, მაშასადამე მათი ცხოვრებაც სრულია. თუ ისენი შეხვდებიან ღირსეულ ვაჟკაცს რომელსაც ფიზიკურად და ზნეობრივათ შეუძლია ქრობა ისინიც თხოვდებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი თავმოყვარე ნაწილი არ მისცემს ნებას თავიანთ ვნებას დამოუკიდებლად სიყვარულისა და გონიერებისა მართოს მათი ცხოვრება და მოქმედება.

ქალებს ხშირად ეუბნებიან, რომ მათი წარმოდგენა უბიწოებაზე არის შედეგი მათი წასული მონობისა. წარმოვიდგინოთ რომ ეს მართალია, მაშინ ქალებს შეუძლიან დაკმაყოფილდენ იმ მოფიქრებით, რომ მონობამ მათ ეგ დიდი თვისება მაინც მოუტანა, რომელსაც ისენი არ შეელევიან როცა გაქრება დღე მათი მონური ცხოვრებისა. ისენი ხელს არ აილებენ მართონ თავის თავი და თავისი სქესი მიუხედავათ იმისა ეს ძალა მიიღენ მათ ბუნებიდან, თუ აღზრდიდან.

ქალებს არ სურთ არც მატერიის გამარჯვება გონებაზე და არც ხორცის დღესასწაული სულზე. ასეთია აზრი სუფრაჟისტებისა, აზრი ერთად ერთი მოწინავე ქალებისა თანამედროვე დედაკაცებში. ისენი დარწმუნებულნი არიან, რომ „სქესობრივი ბიწიერების მოსასპობლად არის მხოლოდ ერთი გზა: სიწმინდე მამაკაცებისა უზრუნველ ყოფილი და გან მტკიცებული ქალთა სრული დამოუკიდებულობით რომელსაც მიენიჭებთ მათ ხმის უფლება!

კრისტაბელ პანკხერსტი.

1914 წ. ''ქალთა პრესსა''.

P. S. ჩვენ დავასრულეთ თარგმანი "საზარელი მტარვალობისა"? ჩვენ ვიცით თუ, როგორ უცქერიან ამ წერილებს ბიწიერების დამცველნი, როგორ მათ ესირცხვებოდათ სიმართლის მოსმენა. ჩვენ წავიკითხეთ აგრეთვე გაზეთ „მეგობარში“ „პროტესტი ქართველი ქალისა“. რომელიც ამ წერილების ჩვენ მიერ თარგმანს უწოდებდა ვულგარულ გამოსვლას“. და მედიცინის მნათობთა მეცნიერულს გამოკვლევას „საზიზღარს“.

როდესაც ამ პროტესტს ვკითხულობდით ჩვენ შეგვებრალა არა ყოვლად პატიოსანი და დიდი ზნეობრივი პიროვნება კრისტაბელ პანკხერსტი, რომლის წინაშე თვით მოწინააღმდეგენი ქედს იხრიან, მთელ ევროპა ამერიკაში, არამედ ქართველი ქალი. ასეთი მეტიჩრული პროტესტი, ასეთი ცბიერი სირცხვილი მისს. პანკხერსტს უკვე მოუსმენია, მაგრამ არა ქალებიდან რასაკვირველია. ჩვენში კი უფრო ქალები აუჯანყდა მას. ის ქალები, რომლებიც არჩევენ საზოგადოების ნელნელა დაჩუმათ გახრწნას, ვიდრე გარყვნილების მხილებას და მისგან თავის მოგერებას. ქება დიდება მათ ნამუსიანობას! მაგრამ ჩვენ ვიტყვით, რომ ასეთი ქალები ქართველი ქალები არ არიან, რომელთაც ნამდვილათ გული ეწოდეს მოდგმაზე, ოჯახურ სიწმინდეზე და თავის სქესის გათახსირებაზე. მათ ჩვენ ვუწოდებთ მოდის ქალებს, რომლებიც ერთი ბრილიანტის ბეჭედზე გასცვლიან ქალთა სწორ უფლებიანობას· და მათ-

თავს და მოეხმარონ თავიანთ სიბნელეში მყოფ დებს. ქალების გამოფხიზლებას და მათ ორგანიზაციულად შეერთებას დიდს დახმარებას გაუწევს დაბა სოფლებში ქალთა კავშირის დაარსება და ქალთა საკითხზე ლექციებისა და სხვადასხვა საუბრის გამართვა. ეს საქმე ქუთაისის მოწინავე ქალებმა უნდა იკისრონ ჩვენს გუბერნიაში.

მეთვალყურე ქალი.

პარტიული პასპორტი.

ყველა გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილზე ამა და ამ პარტიის კრებაა დანიშნული ფრიად საინტერესო საქმის განსახილველად. წაველი. კარებში შემხვდა დარაჯი.

— კრება გაიხსნა? —შევეკითხე მას.

არა, ბატონო, მაგრამ, ვისაც მოწმობა არა აქვს ჩვენი პარტიის, იმას, არ უშვებენ კრებაზე.

— როგორ მოწმობა? რასი მოწმობა?—განცვიფრებული ვეკითხები.

— პარტიული, ბატონო, წელან კრების მომწვევმა მიბრძანა არ დავუშვა კრებაზე გარეშე პირი, ვინც პარტიულ მოწმობას არ წარმოადგენს, მიპასუხა მან. ცოტა ხანს შევჩერდი, რადგანაც პარტიული პასპორტი ჯერ კიდევ არ მქონდა აღებული. მაინც ვცადე შესვლა კრებაზე.

— მე კი გაგიშვებთ, ბატონო, მაგრამ დარბაზში არ გაგაჩერებენ მაინც,—მითხრა დარაჯმა. ამ უკანასკნელის სიტყვა მალე გამართლდა. შევედი თუ არა დარბაზში და ავიდა თუ არა თავის ადგილზე კრების ინიციატორი, ჩამოათვალიერა დამსწრე საზოგადოება: მიიხედ მოიხედა იქეთ აქეთ და ბოლოს მომაპყრო თვალები, თითქო უნდოდა რაღაც აღედგინა მეხსიერებაში ჩემს დანახვაზე.—გთხოვთ დასტოვოთ დარბაზი, რადგან თქვენ ჩვენს აზრს არ იზიარებთ,— მომმართა მან ცივად.—რა იცით რომ არ ვიზიარებ თქვენს აზრებს,- ცივადვე დავეკითხე მე.—რომ იზიარებდეთ ამდეხანს უყოყმანოდ მიიღებდით ჩვენს პროგრამას, გთხოვთ ნუღა გვიშლით ხელს, დასტოვეთ დარბაზი,—მითხრა მან ისეთი კილოთი, რომელიც პასუხს აღარ თხოულობდა, წამოვედი ნაწყენი. გავიარე ერთ დიდ სახლთან და რაღაც ხმაურობა შემომესმება. მივედი ახლოს და გავიგე, რომ იქაც კრება იყო. ავედი კიბეზე და ის იყო უნდა შევსულიყავი დარბაზში, რომ, მომესმა დარაჯის გაჯავრებული ხმა: „არ შეიძლება, ბატონო, არა შესვლა. პარტიის მოწმობა გაქვთ ასე არხეინად, რომ მიბრძანდებით? წელან გავილაძლე კაცი კრების მომწვევიდან უმოწმობოდ რომ შევუშვი კაცი და ეხლა უარესი დამემართება.“ წამოვედი. მეტი რაღა ღონე მქონდა! —იქაც კრებაა,—სთქვა ვიღაც უცნობმა და მიუთითა მაღალ შენობაზე. მე მაშინალურად გავიხედე იქეთ, საითაც გაიშვირა ხელი უცნობმა და გავეშურე მესამე კრებაზე; თუმცა ვიცოდი,—არც იქ დამიშვებდნენ. მაგრამ ვცადე მაინც ბედი. აქ კარებიც აღარ გამიღეს.

— არ იქნება, არა შემოსვლა სულ გატენილია ხალხით დარბაზი.— კარებს შიგნიდგან გამომძახა ვიღაცამ. მე ვუთხარი:

— დიდი არა ვარ მაინც და მაინც და ეგებ მოვთავსდე როგორმე თქო,—მეორე კარებიდან მოუარეთ და ვეცდები სადმე დაგატიოთ„ო— მითხრა ხმამ შიგნიდგანვე. მოვედი დანიშნულს ადგილს, გაიღო დიდი ამბვით კარები ჩემმა მოლაპარაკემ მოწმობა, მითხრა: აბა საჩქაროდ მაჩვენე მოწმობა პარტიული და დაბრძანდით აი აქით მიმითითა მან ერთი გამტვერიანებულ კუნჭულზე. -მოწმობა არა მაქვს, დარცხვენილად ვუპასუხე მე.—შე დალოცვილო, რაღას მაწუხებდი ამდენს, თუ მოწმობა არ გქონდა,,—გულმოსრულად მითხრა და რაც ძალა ჰქონდა ცხვირის წინ მხეთქა კარი.

წამოვედი აქედანაც მწარე დაღონებულ-ჩაფიქრებული.—რა ვქნა,— ვფიქრობდი ნე, მინდოდა ყველა პარტიების კრებებზე მევლო ცალკე-ცალკე, შემესწავლა დაწვრილებით ყველას პროგრამები და შემდეგ, რომელიც მომეწონებოდა, იმის მოძღვრება მიმეღო; ეხლა კი უთუოდ მაიძულებენ წინ და წინ პარტიული პასპორტის აღებას, რადგან ისე არც ერთ კრებაზე არ მიშვებენ. არც ნაცნობობა მშველის და არც მეგობრობა. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იბრძოდნენ პიროვნების დამონებას ავტორიტეტებისაგან და ეხლა, ამ განახლების ხანაში რას ვხედავთ ამას?! მოვესწარით კრების თავისუფლებას და თავისუფლად კი არ გვასწრებენ მას.„

პარტიული პასპორტი, ესაა დღეს ყველაფრის გადამწყვეტი! პარტიის გარეშე მდგომი, თუ გინდ ის უზენაესი ნიჭით აღჭურვილიც იყოს, არარაობას წარმოადგენს.

და ასე ნაძალადევათ რამდენი ქადაგობს A livre ouvert ამა თუ იმ პარტიის პროგრამას ამას ხომ სრულიად ყურადღებას არ აქცევდენ. რუსები, რომ გაექრისტიანებიათ მდინარე დნეპრში ჩაყარეს. ჩვენს დროში, რომ გასოციალისტდე ამა თუ იმ სოციალისტურ პარტიაში უნდა ჩავარდე. და როგორც წმინდა ლადიმერის დროს მონათლულნი, იყვნენ შეგნებული ქრისტიანები; ისე ჩვენი დროის პარტიებშია ჭეშმარიტი სოციალისტები. აბა ესენი, კი განგვა თავისუფლებენ ქალებო!

ნინო ნადირაძე.

როგორ სდევნიდენ წინათ ქალს და როგორ სდევნიან დღესაც.

რუსეთის იმპერიაში ამ ცხრა-ათი წლის წინათ ქალი, 'ქალის ვექილათ, რომ წარსდგა მსაჯულთა წინ, სასამართლო დაჰხურეს, ქალს დამცველობის უფლება არა აქვს„ო; კავკასიაში ერთ პოეტის იუბილეზე განურჩევლათ ეროვნებისა გლეხებს მიერ გამოგზავნილ ქალს მისივე [illegible] ინტელიგენტი კაცები უკრძალავდენ იუბილიართან მისვლას [illegible] ტიო პირად ამორჩევ[illegible] შეურაცყობათ მიიღეს. რკინის გზებზე უარჰყოფდენ ქალების სამსახურს, ქალს ცუდლუტობა არშიყობის მეტი რა ძალუძსო. რომ სხვა და სხვა მაგალითები არ მოვიყვანოთ ეს სამი ფაქტიც ნათლად ადასტურებს, რომ ქალს ყოველ საპატიო დარგიდან სდევნიდნენ. და თუ რომელიმე დაწესებულებაში ქალის შრომას შესაფერ ღირსეულ ალაგს მიაკუთნებდნენ, მისი სქესისადმი მოვალეობა კი არ აფიქრებინებდათ, არამედ ან ქმარი უნდა ყოლოდა რაიმე საქმით ცნობილი, ან მეგობარი და ან ჩამომავლობით მაღალი ხარისხი.

რასაკვირველია ეს გონიერების დამამხობელი სიბეცე წარსულ ისტორიას ეკუთვნის, მაგრამ დღესაც ნაკლებ სულის კვეთებას არ განიცდის ქალი, როდესაც ცხოვრების ღერძის ბრუნვა ძირ-ფესვიანათ გადატრიალდა; დამონავებული ძლიერს ამოუყენა მხარში, გლეხი თავადს გაუთანასწორა, ქალი უფლებით მამა-კაცს დაუპირდაპირა და მსოფლიო არსებობის საჭის ერთი ნახევარი ქალს მისთავაზა, მაგრამ მამა-კაცის დამცინავი, ბრაზ-მორეული ხმა კვლავ გაისმის:

— ტრამვაიებზე ქალებს, ზამთრის სუსხი მუხრუჯს, რომ მოუჭერეს მალე მონახვენ ბუნაგს.

—მატარებლებიდგან ძირს, რომ ლაზათიანად გადაკოტრ-გადმოკოტრიალდებიან, მაშინაც განაგრძონ მამაკაცისადმი ფიზიკურს მეტოქეობას —ომში წასული კაცები დაბრუნდებიან და მათ ადგილებზე გამოჭიმულ ქალბატონებს სულ ფაცხა-ფუცხით მიაბძანებენ და სხ.

აი რა ფრიად მწუხარებათ აღსანიშნავია და მასთან განსაცვიფრებელი, რომ ახალმა სიოს ძალუმმა

თვის არც გადათარგმნილა ეს წერილები. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ქალთა უფლების მტერნი არ არიან მარტო მამაკაცები უპირველესად ყოვლისა ის ქალებია, რომლებიც დედაკაცის უმაღლესს ღირსებათ იგულვებენ დედლურს სქესობრივობის გამოფენას და მისგან გამოწვეულს დუმილს და პასიურობას, როგორც ოჯახში ისე საზოგადოებაში, ასეთს ქალებს ჩვენ ვსთვლით იმ მამაკაცების მოწაფეებად, რომელთ დამარცხებასთან ერთად ისენი გაქრებიან. მანამდე კი სიტყვის თავისუფლებით დეე ისენიც სარგებლობდენ და სწერონ თავიანთი პროტესტები. ჩვენ ვემსახურებით ქალს-ადამიანს და მის ადამიანური უფლების აღდგენისათვის მოურიდებლათ ავხდით პირბადეს მისი უფლების მტერთა მახინჯს სულის კვეთებას, და ასეთი ქალი იქნება, თუ ვაჟი, ამ შემთხვევაში ჩვენთვის სულ ერთია.

რედაქცია.

საზარელი მტარვალობის წინასიტყვება.

წიგნი მისს. პანკხერსტისა გვიხსნის, როგორც ინგლისის ქალთა შეხედულობას თანამედროვე ცხოვრებაზე ისე მიზეზს იმ თავგამოდებული ბრძოლისას, რომელსაც ეწევიან ინგლისელი ქალები ხმის მისაღებათ საზოგადოებაში და სახელმწიფოში. ჩაიხედეს რა სიავის ძირში, შეისწავლეს რა ყველა ის უბედურობა და იარა, რომელიც ძირს უთხრის თანამედროვე საზოგადოებას, ამსხვრევს ტანმრთელობას როგორც ქალებისას ისე ბავშვებისას და თვით მამაკაცებისას ინგლისელი ქალები ბუნებრივათ ვერ შესძლებენ ხმის მოუთხოვნელობას და მონაწილეობის მიუღებლობას საზოგადო და სახელმწიფო საქმეებში, რომელიც აგრე ახლო ეხება მათ და რომლიდანაც მათმა მოგლეჯამ წარმოშვა ამდენი სიდუხჭირე. აქედან იწყება მათი შეგნებული თავგამოდებული ბრძოლა. რომელსაც ისენი არ მიატოვებენ სრულს გამარჯვებამდე.

მახლობელ საბაბათ მთელი წყება წერილებით გამოსვლისა, რომელიც შემდეგ დაიბეჭდა ცალკე წიგნათ მიეცა მისს კრისტაბელ პანკხერსტს მომხდარი სკანდალი პიკადილიზე, რომელიც ცნობილი იყო: კენი დეერალდის საქმედ.

1913. ივნისში ლონდონში დაჭერილი იქნა სარონსკიპოს გამგე ქალი წოდებული კენი დეერალდათ. გაჩხრეკის დროს აღმოჩენილი იყო განსაცვიფრებელი ხასიათის წერილები, სხვა და სხვა იარაღი და ინსტრუმენტები სამარცხვინო თვისებისა. მთელი მოწყობილობა სარონსკიპოსა აცხადებდა, რომ იქ ღებულობდენ „კარგს“ საზოგადოებას. დაასახელეს კიდეც სახელები იქაურ სტუმრებისა, რომელთა შორის ერია გამოჩენილი სახელმწიფოს მოღვაწენი და ერთი პერიც.*)

წერილებში კლიენტები თხოულობდენ, რომ ეშოვნათ მათვის მცირე წლოვანი უცოდველი გოგოები.

კენი დეერალდს უპოვნეს დიდი ფული და მრავალი თვალ მარგალიტები, რომელიც ამხელდა, რომ მისი „საქმე“ ყვაოდა.

გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ დამნაშე ცხოვრობდა მოგონილი სახელით და რომ ის ქმრიანი ქალი იყო. მის წინააღმდეგ იმდენი ნიშნები იყო, რომ გამომძიებელმა უარი განაცხადა მის თავმდებ ქვეშ გამოშვებაზე.

მაგრამ სასამართლოში სურათი სრულიად შეიცვალა დამცველისა, და ბრალმდებელის და სასამართლოს თავმჯდომარეს შეთანხმებით. ნამდვილი სახელი დამნაშავე ქალისა და მისი კლიენტებისა დასახელებული არ იყო. საქმე ირჩეოდა დახურულ კარებში.

პრესსის წარმომადგენელნი გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ არც ერთი სახელი არ უნდა მოქცეულიყო ბეჭვდის ქვეშ.

მიუხედავათ ნაპოვნ წერილებისა, რომელიც უნახეს „კენი დეერალდს“, რომელიც ამტკიცებდა მის მაჭანკლობას, და მას რომ მოყავდა მცირე წლოვანი ბავშვები თავის კლიენტებთან, ასეთს დანაშაულში ბრალდება არ წარუყენეს მას და ის დასაჯეს მხოლოთ ორი თვის ციხეში [illegible]ატიმრებით, სარონსკიპოს გახსნი-[illegible]ვის. ამით გამოირკვა, რომ მა-[illegible]რობის ბრალდება ახსნილი იყო იმ პირთა დაფარვის საჭიროებით, რომელთანაც კენი დეერალდს მოყავდა ცოცხალი საქონელი.

ყოველი მხრით სცვიოდა პროტესტი. კეირ-გარდი ღებულობდა ურიცხვს წერილებს სასულიერო და საერო პირთაგან, რომლებიც თხოულობენ მისგან, რომ შეეტანა მას კითხვა პალატაში და აეხსნა ფარდა ამ ბნელს საქმეზე. მიუხედავათ ამისა ყველაფერი მიაფუჩეჩეს შინაგანი საქმის მინისტრის მაკ-კენის წყალობით. საეჭვოა ამ საქმის შეჩერება, ისე დიდია მღელვარება საზოგადოებისა. ის კიდევ უფრო გაძლიერდა მისს. პანკხერსტის გამოსვლით, რომლის წერილებმა აახმაურეს მთელი ევროპა და ამერიკა. ერთნი ცხარედ და უსაბუთოთ ამტყუნებდენ მას. სამაგიეროთ გამოჩენილი ექიმები და საზოგადო მოღვაწენი გამოდიოდენ ბეჭვდითი სიტყვით მის მხურვალე მომხრეებათ. მათი თანაგრძნობა გამოიხატა საქმითაც, რომლებმაც შემოსწირეს დიდი ფული ქალთა მოძრაობის სასარგებლოთ, ქალთა განთავისუფლების საქმეს.

აუარებელ წერილებიდან, მოვიყვანთ ორს, კომპენტენტიურ წერილებს.

ა. კ—ძ.

დიდათ პატივცემულო

მისს. პანქხერსტ!

წავიკითხე თქვენ მიერ გამოგზავნილი ჩემთან წიგნი უდიდესი ინტერესით, რომლისათვის დიდათ გმადლობთ.

---

*) სახელმწიფოს უმაღლესი წოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქროლვამ ჯერ ვერ წარიტაცა მამაკაცის ძარღვებში გამჯდარი დედაკაცისადმი მონობის შთაბეჭდილება. მაგრამ დრო გაივლის გონზე მოსული მამაკაცი ქალის პიროვნების წინ მოიხრის ქედს.

მაშინ ახალი ადამიანი, ახალ ცხოვრებას, ახალ მრავალჟამიერს უგალობებს და ჟამსა დასასრულ სიცოცხლისას, ნეტარების ღიმილით განისვენებს ახალ სამარის ნათლოვან კურლუმლთა შინა.

ანეტა კაპანაძისა.

მისაბაძი მაგალითი.

ბარბალე ლუკას ასულმა ჰელიძემ ბაბვის უფასო სამკითხველოს გამოუწერა ჩვენი გაზეთი წლის დალევამდე.

ახალი ამბავი.

◆ ჩვენმა რედაქციამ მიიღო წიგნაკი „საზონოვის აღსარება“, გამოცემული ტყიბულის რაიონის ს. რ. პარტიის კომიტეტისა.

— **ციხის საქმე.** ჯარის კაცთა საბჭომ დაადგინა აღდგენილ იქმნას წესრიგი ქუთაისის სატუსაღოში.

◆ საჩივარი. ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა იუსტიციის მინისტრს შეატყობინა, რომ ქუთაისის ციხიდან ბევრი ისეთი ტუსაღი განთავისუფლდეს რომელნიც სისხლის სამართლის ძალით იყვნენ დაჭერილი“ო.

იუსტიციის სამინისტრო ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს ეკითხება თუ როგორი წესით მოხდა ტუსაღთა განთავისუფლება.

ქუთაისის „ფოსტა ტელეგრაფის უფროსად დანიშნა შენგელია.

ჟურნალ-გაზეთებიდან,

უნდა წავიდეთ წინ.

რიგიდან „Трудъ и Воля“-ს ატყობინებენ, რომ ა. კერენსკი გამგზავრა პოზიციებზე. მოწინავე ხაზების მახლობლათ მინისტრი ჩამოვიდა ავტომობილიდან და ფეხით გაიარა 200 ნაბიჯი მტრის ბანაკზე დაშორებული თხრილები. გაეცნორა დაწვრილებით მეომართა ცხოვრებას მინისტრი დადგა თხრილებზე მტრის პირდაპირ, სადაც ადვილი შესაძლებელი იყო მისი ტყვიით განგმირვა.

როდესაც ა. კერენსკი თხრილში იმყოფებოდა შემდეგი საინტერესო ინციდენტი მოხდა. მასთან მივიდა აფიცერი და უთხრა: ამხანაგების მონდობილებით გიცხადებთ, რომ ზურგის საქციელი გვიქადის საფრთხეს, რადგან ჯარს არ შეუძლია დროზე მიიღოს რეზერვი. მინსტრმა უპასუხა: „როცა ერთი მუჭა რევოლიუციონერები ვებრძოდით რთულს მექანიზმს ძველი რეჟიმისას, ჩვენ არას ოდეს არ მოგვიხედნია უკან და არ მოველოდით მაშველს რაზმს. ჩვენ ვიბრძოდით უკან მოუხედავათ და თუ საჭირო იყო ვკვდებოდით. თუ თქვენთვის ძვირფასია თავისუფლება და რევოლიუცია და მოგიხთებათ წასვლა წინ, გასწით! თუნდაც მარტოთ იყოთ და თუ საჭიროება მოგთხოვს სიკვდილს — მოკვდით! აღელვებულმა აფიცერმა წარმოსთქვა:

— მე წავალ!

რუსის ჯარი საფრანგეთში.

უკანასკნელი ცნობებიდან საფრანგეთში მყოფი რუსის ჯარი გმირულად იბრძვის

ახალი მთავრობის განკარგულება.

რადგან გერმანიის ტერიტორიიდან გადმოსულები ეწევიან სამშობლოს საზიანო პროპაგანდას, ახალი მთავრობის განკარგულებით დღეიდან მტრის ტერიტორიიდან გადმოსულებს რუსეთში არ უშვებენ.

დეზერტირება.

პოზიციიდან გამოქცეულთ ერთმევათ ხმის უფლება დამფუძნებელ კრების არჩევნებში და ვერც მიიღებენ მიწას თუ ასეთები უკანვე არ დაბრუნდებიან.

პროვოკატორები.

შეიპყრეს მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს დეპუტატების თავმჯდომარე პროვოკატორი პარამოლოვი კანსკის მაზრაში. ის დიდს გავლენას ახდენდა მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოში თავის ქადაგით, რომ არ ეცნოთ ახალი მთავრობა და მოეხდინათ მემამულეთა და სახელმწიფო მიწების კონფისკაცია.

კრონშტადის ამბავი.

27 მაის სახელმწიფო დუმის წევრთა თათბირზე ყოფილმა კომისარმა კრონშტადისამ დეპუტატმა ვ. ნ. პეპელიაევმა განაცხადა, რომ მას აქვს საბუთი იფიქროს კრონშტადში მოქმედობენ პროვოკატორები და გერმანელი აგენტები.

სასურველი სტუმრები.

ინგლისელი ქალთა განთავისუფლებისათვის მებრძოლნი ე. ი. სუფრაჟისტები მოემგზავრებიან რუსეთში რუსის ქალებთან მოსალაპარაკებლათ.

ქალთა ლაშქარი

მინსკში შესდგა ქალთა ლაშქარი სამშობლოს დასაცველად, რომელიც პოზიციაზე მიდის. ჯერ ჯერობით 400 ქალი ჩაეწერა.

ს. ხეთის შემომწირველთა სია ჩვენი გაზეთის სასარგებლოთ.

მღვდელი კონსტანტინე ჯაკობია —	1 მ.
პეტრე მეუნარგია —	1 მ.
ნესტორ ქითავა —	1 მ.
ნინო და სპირიდონ ხუბულავები —	1 მ 50 კ.
ლეონტი ლატარია —	1 მ.
ესტატე ქითავა —	1 მ.
დოროთე კიტია	1 მ.
ვასილი ბუკია	1 მ.
ვარლამი ნაჭყებია —	2 მ.
ესტატე ლატარია —	2 მ 3 კ.
ოსიკო გაბუნია —	2 50 კ.
მღვდელი თეოდორე ქირია	3 მ.
ევდოსი კუტალია —	1 მ.
პლატონი ბერაია —	1 მ.

ს. კალაგონის შემომწირველთა სია ჩვენი გაზეთის სასარგებლოთ.

კეკელა ხუნდაძისა —	1 მ.
კატო რამიშვილისა -	1 მ.
მატრონე ხუნდაძისაგან —	1 მ.
მარო ხუნდაძე —	50 კ.
სონია ხუნდაძისა —	1 მ.
გაიანე ხუნდაძისა —	1 მ.
ოლღა ცქიტიშვილი —	50 კ.
პელაგია რამიშვილი —	50 კ.
ტატიანა რამიშვილი —	50 კ.
ლეონიდა ხუნდაძე —	50 კ.
დომინიკა ხუნდაძე —	50 კ.
ამინადარ ხუნდაძე —	1 მ.
ლიზა ხუნდაძისა —	50 კ.
ვასილისა ხუნდაძე —	1 მ.
ანასტასია ხუნდაძე —	50 კ.
შუშანიკა ყენიასა —	2 მ.
მარუსია დუდუჩავა	40 კ.
მარუსია დუდუჩავა	50 კ.
ცეცუნია დუდუჩავა —	50 კ.
ელენე დუდუჩავა —	50 კ.
ჰუპინა უშვერიძისა —	50 კ.
ლილოსი დუდუჩავა —	50 კ.
დათიკო ხუნდაძე	1 მ.
ტიტე თევზაძე —	3 მ.
თეოფინე თევზაძე	2 მ.
სევერიანე რამიშვილი --	5 მ.
დათიკო თევზაძე —	10 კ.
ბესარიონ ქორიძე —	2 მ.
პორფილე დოლიძე —	50 კ.

შემიძლია გამოვსთქვა ღრმა სინანულით, რომ ჩემი გამოცდილება 30 წლის მუდმივი მუშაობით უდიდეს ინგლისის ჰოსპიტალში, მაიძულებს ვაღიარო, რომ სურათი საბედისწერო შედეგისა, რომელსაც იწვევს ვენერიული სნეულებანი თქვენ ძლიერ დასურათებული სრული სინამდვილეა და არასფრით არ არის გადამეტებული. მხოლოდ უკანასკნელი წლებში ექიმებმა იცნეს, რომ მრავალი სნეულებანი და ზოგი ერთობ სერიოზული ხასიათისა, რომლის მიზეზი წინათ გამოურკვეველი იყო არის მისი შედეგი, რასაც თქვენ სამართლიანათ უწოდებთ: „საზარელს მტარვალობას“.

თქვენ ლაპარაკობთ პირდაპირ და დაუფარავათ, მაგრამ დადგა დრო, როცა ყველამ უნდა სთქვას პირდაპირ და მოურიდებლათ.

ეს მტარვალობა მანამდე არ მოისპობა, სანამ არ უარყოფენ ქალების საკუთრებათ ჩასვლას, რომლის [illegible] მოხმარება შესაძლებელია. კანონმდებლობას აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ის არის მხოლოდ საშვალება [illegible] მათი სინდისისა, ვისაც არ სურს სიმართლის დანახვა, აგრეთვე არაფერს არ შველის ახლად დანიშნული კომისია, [illegible] საიდუმლოებით, რომელსაც [illegible] სურს მიიღება სიმართლისა.

ერთად ერთი იმედი, რაც შეიძლება მეტი ფართოთ ღაღადი და [illegible] აღზრდა ორთავე სქესის ახალგაზრდებისა, რომ მათ იკოდენ და წარმოდგენა ჰქონდეთ ამ საგანზე და არ სცხვენოდეთ მისი, რაც არ არის სასირცხო. საჭიროა, რომ ქალი იყოს აღიარებული ადამიანათ და სარგებლობდეს სამართლით სრული ადამიანური უფლებებით.

თქვენი კეთილშობილი საქმის წარმატების მსურველი.

გულწრფელად თქვენი ერთგული

ს. მანჩელ მულენი

მსურდა რომ მქონოდა საშვალება დავსთანხმებოდი აღშფოთებით უარჰყოფას, მისს. პანკხერსტისას, რომ მომეტებული წილი ქალებისა თანაუგრძნობენ მამაკაცთა ბიწიერებას. ვიცი, რომ მრავალი მათგანი ზიზღით და სიძულვილით უცქერიან ასეთს მამაკაცებს. ეს ქალები წარმოადგენენ მარილს დედამიწისას და რომ საბედნიეროთ ისინი არ იყვნენ მრავალრიცხოვანი საზოგადოება მთლიანათ დაღუპებოდა. მაგრამ მე ვშიშობ, რომ ქალთა უმრავლესობა მაინც თაუგრძნობს ასეთს მამაკაცებს. და კმაყოფილება იმ გრძნობისა, რომ მოეხმარონ და გაასწორონ გარყვნილი, ხშირათ ხდება მიზეზი გათხოვებისა.

და თუ მათ გასწორება სრულად არ უხერხდებათ, მაინც რჩებათ სიამოვნება მოვალეობის შესრულებისა. ასეთი შეხედულება ქალებისა სრულიად ამართლებს გამოსვლას მისს. პანკხერსტის სასტიკ წიგნისას შისთვის, რომ მხოლოდ დუმილის შეთქმულობა, რომელზედაც იერიში მიაქვს მისს. პონკხერს შესაძლებლათ ჰყოფს ასეთს მდგომარეობას. მომეტებული წილი წესიერი ქალებისა, რომელთაც ეზიზღებათ გარყვნილობა და თუნდაც მათ ვინაც ელტვის ბიწიერ მამაკაცს არ იციან ორი გარემოება და პირველათ ის, რომ მათ არ ესმით, თუ როგორ შეურაწყოფას აყენებენ მათ სქესს

მათ იციან არსებობა პროსტიტუციისა, მაგრამ მათ წარმოდგენილი ყავთ პროსტიტუტი ქალები სრულიად განსხვავებულ, საზიზღარ ტიპათ, რომლებსაც მიყავთ ახალგაზრდა ვაჟები დაღუპვამდე.

მისს. პანკხერსტი მოგვითხრობს სასტიკ სიმართლეს და უწოდებს პროსტიტუტ ქალებთან მიმსვლელ მამაკაცებს იმავე პროსტიტუტს და თუ აქ არის რაიმე განსხვავება ყოველ შემთხვევაში არა უკანასკნელის სასარგებლოთ.

მეორეთ ამ წესიერს ქალებს [illegible] ესმის მთელი სიდიადე იმ სულიერ და ხორციელ სიცარიელისა, რომელსაც იწვევს სქესობრივი გარყვნილობა, მისი საშინელი გავლენა [illegible] ქალებზე და ბავშვებზე, რომელთათვის უკეთესი იქნებოდა არ დაბადებულიყვნენ.

ამ გვარად მისს. პანკხერსტი გვეუბნება ჩვენ სიმართლეს და თანაც არა სრულს სიმართლეს მისთვის, რომ თვით მისი გამბედაობაც კი უკან დაიხევდა ყველა იმ საზიზღრობის აღსაწერათ რაც ჩვენს დროში ხდება. წესიერმა ქალებმა იციან, რომ ღვთისაგან აკრძალულია ასეთი ყოფა-ქცევა, მაგრამ მათ არ იციან, თუ რა დიდი დასჯა განგებამ ბუნების კანონის დამრღვევლთ.

ისინი თითქმის, საბედისწეროთ დარწმუნებულნი არიან, რომ ბუნების ბოროტათ მოხმარება ზოგიერთ შემთხვევაში შესაფერია მამაკაცისათვის. ასეთი ქალები აპატიებენ შემნანებელს და ფიქრობენ რომ ამით ყველაფერი გათავებულია. საჭიროა მათი იმედების გაცრუება და მისს. პანკხერსტიც უცრუებს მათ ამ იმედებს. მისი წიგნი არის წიგნი პატიოსან ქალებისათვის და ორთავე სქესის მოზარდ თაობისათვის.

რას იძლევა ეს წიგნი არჩევანთა ხმის უფლებისათვის? ვიტყვი ერთს. მხოლოდ ამ წიგნის წაკითხვამ გადამაქცია მე ამ სიბერის დროს ქალთა ხმის უფლების მომხრეთ მე რომელიც მცირე პატივისცემას ვგრძნობ საზოგადოთ წარმომადგენლობა და წესებულებებისადმი. არჩევანთა ხმის უფლებას თავის თავად დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ ზნეობრივი და სოციალური თანასწორობა ქალვაჟისა, თანასწორობა ცოლისას ქმართან დიდი მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე პოლიტიკურ და სოციალური თვალთა ხედვით არ ვფიქრობ, რომ ჩვენ მიუახლოვდეთ ასეთს თანასწორობას და კიდევ ნაკლებ მივაღწევთ მას, სანამ ქალები უმდაბლეს პოლიტიკურ საფეხურზე იქნებიან და ნაკლებათაც პასუხისმგებელნი. და აი აქედანაც უნდა დავიწყოთ.

ტ. ა. ლასხი.